საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მარიკა არევაძე

კოლეგიის წევრი - მარინე ცუცქირიძე

კოლეგიის წევრი - ინგა ნებიერიძე

საჩივრის ავტორი: ი. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.03.2020

საჩივრის რეგისტრაციის №028/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 02 მარტს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ს.-მ და მოითხოვა ა. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის თანახმად, ადვოკატ ა. ბ.-ს უნდა დაეცვა მისი ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატი მას ჰპირდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და „მცირე სასჯელს“. მომჩივანის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე წერილობითი ხელშეკრულება ადვოკატ ა. ბ.-ს არ გაუფორმებია და გამოწერილი ორდერის საფუძველზე მოქმედებდა.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა მეუღლემ მოთხოვნის შესაბამისად, ადვოკატს ჰონორარის სახით პირველ ეტაპზე ანგარიშზე ჩაურიცხა - 1000 ლარი, მეორე ეტაპზე - 600 ლარი. ჰონორარის კონკრეტული ოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული და აღნიშნული საქმის შემდგომ მიმდინარეობაზე იყო დამოკიდებული. საჩივრის ავტორს საქმის მიმდინარეობის პროცესში უჭირდა ადვოკატთან დაკავშირება, მათ შორის არ პასუხობდა

ტელეფონზე და საცხოვრებელ მისამართზე გაგზავნილი წერილები არ ბარდებოდა. ადვოკატი არ უკავშირდებოდა არც მომჩივანის მეუღლეს - ე. პ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასჯელაღსურლების დაწესებულებაში ადვოკატს მასთან ვიზიტისას გადასცა საქმეზე არსებული დაზარალებულთა სია, რომლებიც თანახმა იყვნენ სასამართლოზე თავიანთი ჩვენებით დაეზუსტებინათ ფაქტობრივი გარემოებები ი. ს.-ს ინტერესების სასარგებლოდ, აგრეთვე, აპირებდნენ სხვა პირების ბრალეულობაზე მითითებას. ადვოკატმა ა. ბ.-მ არცერთ სასამართლო პროცესზე არ მოითხოვა დაზარალებულთა გამოკითხვა. ადვოკატმა იმოქმედა პროკურორის სასარგებლოდ, რომელსაც არ სურდა მოწმეების სასამართლოზე გამოცხადება. ამასთან, ადვოკატი ი. ს.-ს თხოვნის მიუხედავად, არ დაუკავშირდა ერთ-ერთ დაზარალებულს - ე. ლ.-ს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მომჩივანის ინტერესის სასარგებლო ინფორმაციის მოპოვება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არ გაეცნო ი. ს.-ს საქმის მასალებს სრულყოფილად და მისი ინტერესების დასაცავად სასამართლო სხდომებზე არაფერს აკეთებდა, ის ყოველთვის თავის დაქნევით ეთანხმებოდა პროკურორს, მოსამართლეს და ი. ს.-საც იგივეს გაკეთებას სთხოვდა. ადვოკატმა ა. ბ.-მ მას განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უდავოდ ცნობდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, საპროცესო შეთანხმებას მიაღწევდნენ და მას „მალე გაიყვანდა ციხიდან“, რის გამოც ის ენდო ადვოკატს და უდავოდ ცნო მტკიცებულებები. ამასთან, საჩივრის თანახმად, ა. ბ.-ს არცერთხელ მიუმართავს საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას რომ ადვოკატისგან კეთილსინდისიერი რჩევა მიეღო, არ ცნობდა უდავოდ მტკიცებულებებს, რაც დადებითად აისახებოდა მის საქმეზე და უფრო მსუბუქი სასჯელი დაეკისრებოდა.

1.5 მომჩივანმა ადვოკატის მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციის შედეგად, აიცილა საქმეში ჩართული სხვა ორი ადვოკატი. კერძოდ, ადვოკატმა ა. ბ.-მ მომჩივანს განუცხადა, რომ ადვოკატების აცილება მისი მეუღლის - ე. პ.-ს თხოვნა იყო.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სააპელაციო სასამართლოში გამართულ მესამე სხდომაზე მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ს აცილება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 14 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ა. ბ.-მ განმარტა, რომ ი. ს.-ს ინტერესების დაცვის მიზნით საქმეში 2019 წლის 04 სექტემბრიდან, საქმის არსებითი განხილვის მესამე სხდომაზე ჩაერთო - იმ ეტაპზე, როდესაც წინასასამართლო სხდომები დასრულებული იყო. ადვოკატის განმარტებით, საქმეში ჩართულმა წინა ადვოკატმა 2019 წლის 31 ივლისის წინასასამართლო სხდომზე მთლიანად უდავოდ ცნო ყველა მტკიცებულება და ი. ს.-მ წარდგენილ ბრალდებაში ცნო თავი დამნაშავედ, რაც 2020 წლის 17 თებერვლის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენშია აღნიშნული, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება. შესაბამისად, ადვოკატის განცხადებით, მას არ გაუხდია უდავოდ ი. ს.-ს საქმეში არსებული მტკიცებულებები.

2.1 ადვოკატ ა. ბ.-ს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში ი. ს.-ს საქმეზე გამართულ 8 სასამართლო სხდომას დაესწრო, არაერთხელ შეხვდა საპატიმრო დაწესებულებაში ბრალდებულს და მასთან ერთად განიხილა საქმის წარმართვის სტრატეგია. ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, საქმეში არსებული მტკიცებულებები უდავოდ იყო ცნობილი და ი. ს. დანაშაულს აღიარებდა, პროკურორმა განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ი. ს. შეძლებდა საქმეში არსებული დაზარალებულთათვის თანხების გადახდას. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია მან მიაწოდა ი. ს.-ს. რომელმაც გამოთქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმების სურვილი, თუმცა რადგან დაზარალებულებთან მოლაპარაკება ზიანის ანაზღაურების ნაწილში ი. ს.-მ ვერ შეძლო, მასთან საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტი მოინახულა განაჩენის გამოცხადების შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ადვოკატის განცხადებით, ი. ს.-ს სასჯელის სახით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და სურდა განაჩენის გასაჩივრება. ადვოკატმა მოამზადა სააპელაციო საჩივარი, რასაც ხელი თავად ი. ს.-მ მოაწერა და ის სააპელაციო სასამართლოში სამ სხდომას დაესწრო.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მას კლიენტისთვის საქმის შედეგზე გარანტია არ მიუცია და მტკიცებულებების უდავოდ ცნობის შედეგებზე ბრალდებული მისგან ინფორმირებული იყო. ამასთან, ადვოკატის განცხადებით მან მიმართა პროკურორს საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, თუმცა ფინანსურად დაუკმაყოფილებელი დაზარალებულების არსებობის ფონზე, ვერ მოხერხდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2021 წლის 04 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა არ იმოქმედა საჩივრის ავტორის მითითების შესაბამისად. კერძოდ, საქმეზე არ იშუამდგომლა დაზარალებულთა მოწმის სახით გამოკითხვის თაობაზე და არ დაუკავშირდა ერთ-ერთ მოწმეს. ასევე, ადვოკატმა არ განუმარტა საჩივრის ავტორს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის შედეგები, რითაც ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირებულობის, კვალიფიციური მომსახურეობის გაწევის პრინციპები და კლიენტის მითითებით საქმის წარმოების ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მუხლები 8.5 და 8.2).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

4.1.1 ადვოკატი ა. ბ., სისხლის სამართლის საქმეში №-----, ბრალდებულის, ი. ს.-ს ადვოკატის სტატუსით, ჩაერთო 2019 წლის 11 სექტემბრიდან, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა წერილობითი პოზიცია;

ადვოკატ ა. ბ.-ს ორდერი №---;

2020 ს 17 თებერვლის სასმართლო განაჩენი საქმეზე №-----;

4.1.2 სისხლის სამართლის საქმეზე №-----, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ი. ს. მსჯავრდებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2020 წლის 17 თებერვლის სასამართლო განაჩენი საქმეზე №-----

4.1.3 2020 წლის 08 იანვარს ი. ს.-მ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით, განცხადებით მიმართა, ქ. რუსთავის რაიონულ პროკურორს. განცხადებას ხელს აწერს ადვოკატი ა. ბ. და თავად ბრალდებული, ი. ს..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ ა. ბ.-სა და ი. ს.-ს 2020 წლის 08 იანვრის განცხადება

4.1.4 ადვოკატმა ა. ბ.-მ სასმართლოს წინაშე არ იშუამდგომლა საქმეში არსებული დაზარალებულების მოწმის სახით გამოკითხვასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა წერილობითი პოზიცია

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეებს შორის სადავოა, ადვოკატმა ა. ბ.-მ უდავოდ ცნო თუ არა მტკიცებულებები №----სისხლის სამართლის საქმეში.

მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი ა. ბ. 2019 წლის 11 სექტემბრიდან სისხლის სამართლის საქმეში იცავდა ბრალდებულ ი. ს.-ს ინტერესებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში. მომჩივანის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე უდავოდ ცნო მტკიცებულებები ადვოკატ ა. ბ.-ს იურიდიული რჩევის საფუძველზე და ამასთან ის ვერ აცნობიერებდა ქმედების შესაძლო შედეგებს. თავად ადვოკატის განმარტებით, მტკიცებულებების უდავოდ ცნობა და ჩადენილი დანაშაულის აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ ის თავადაც იზიარებდა აღნიშნული სტრატეგიის მართებულობას და ბრალდებულმა მისი დაცვის ქვეშ ყოფნის დროსაც აღიარა დანაშაული, მოხდა მის საქმეში ჩართვამდე. ადვოკატ ა. ბ.-ს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, ამასთან 2020 წლის 17

თებერვლის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენში მითითებულია, რომ 2019 წლის 01 ოქტომბერს არსებითი განხილვის სხდომაზე მხარეებმა უდავოდ გახადეს მტკიცებულებები, რა დროსაც მომჩივანის ინტერესებს ადვოკატი ა. ბ. წარმოადგენდა, შესაბამისად განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ს.-მ მტკიცებულებები უდავოდ ცნო ა. ბ.-ს დაცვის ქვეშ ყოფნის პერიოდში.

4.2.2 მხარეთა შორის სადავოა, ადვოკატმა ა. ბ.-მ სათანადოდ განუმარტა თუ არა თავის დაცვის ქვეშ მყოფს სამოქმედო სტრატეგია და თავად ბრალდებული იყო თუ არა ინფორმირებული მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის შედეგებთან დაკავშირებით.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსიდან გამომდინარე, რომლის იდეა და მთავარი მიზანი სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიერ კლიენტის საქმის წარმოება და მისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევაა, იგულისხმება, რომ საჩივრის ავტორმა, ი. ს-.მ, სწორედ ა. ბ.-სგან მიღებული იურიდიული რჩევის საფუძველზე მიიჩნია მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა საქმის შედეგისთვის სასარგებლო ქმედებად. თავის მხრივ ადვოკატმა აღნიშნული არ უარყო და განმარტა, რომ პროკურორი თანახმა იყო საპროცესო შეთანხების გაფორმებაზე და ერთადერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად, დაზარალებულ პირთა მატერიალური დაკმაყოფილების საკითხი რჩებოდა, რათა მათ არ ჰქონოდათ პრეტენზია ბრალდებულთან. ამას გარდა, ადვოკატის განმარტებით დანაშაულის აღიარების ფაქტი და მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა, პასუხისმგებლობის შემსუბუქებას შეუწყობდა ხელს, რაზეც თავად ბრალდებულიც იყო ინფორმირებული.

განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ, სტრატეგია, რომლითაც ადვოკატი ა. ბ. მოქმედებდა, შეთანხმებული იყო თავად ბრალდებულთან. აღნიშნულ გარემოებას ერთის მხრივ ადგენს, 2020 წლის 08 იანვარის განცხადება, საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელს აწერს, როგორც ა. ბ. ასევე თავად ბრალდებული, ი. ს. (პარ. 4.1.3), ხოლო მეორეს მხრივ, საჩივრის ავტორის მიერ, მტკიცების ტვირთით მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობა.

კერძოდ, ი. ს.-ს არ მიუთითებია და მტკიცებულებებით არ გაუმყარებია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ახსნიდნენ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ მისი პრეტენზიის წარმოშობას მხოლოდ საქმის დასრულების შემდგომ და არა საქმის მიმდინარეობის პერიოდში, რაც თავის მხრივ მიუთითებს მის მიერ დაცვის სტრატეგიის ცოდნის ფაქტს, მაშინ როდესაც რიგ საპროცესო მოქმედებებში, როგორიცაა მტკიცებულებების უდავოდ ცნობა (პარ.4.21) თუ საპროცესო შეთანხმების მიზნით პროკურორისთვის განაცხადით მიმართვა (პარ. 4.1.3) ი. ს.-ს, როგორც ბრალდებულის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობა პროცედურულად სავალდებულო იყო. ამ ფონზე, ადვოკატის მიერ განხორციელებული განგრძობადი ხასიათის საქმიანობის პერიოდში, რაც გამოიხატებოდა მტკიცებულებების უდავოდ ცნობაში, საპროცესო შეთანხმების

თაობაზე განცხადების წარდგენასა თუ სხვა საპროცესო მოქმედებებში, ი. ს.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს ადვოკატის ქმედებებთან დაკავშირებით, რითიც მიიჩნევა, რომ ი. ს.-სთვის ერთის მხრივ ცნობილი იყო დაცვის სტრატეგიის შესახებ და მეორეს მხრივ ის ეთანხმებოდა მას.

თავის მხრივ ის გარემოება, რომ სტრატეგიით განხორციელებულ ქმედებას, არ მოჰყოლია ბრალდებულისთვის სასურველი შედეგი, არ გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის არასათანადო ინფორმირების ფაქტს. აქვე მნიშნელოვანია ხაზი გაესვას სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პროცესის ბუნებას, სადაც ბრალდებული თავად სასამართლოს მიერ მაქსიმალურად ინფორმირებულია საქმის მიმდინარეობისა თუ ბრალდებულის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა სავარაუდო შედეგებთან მიმართებით. მაშინ როდესაც, ადვოკატისგან დამოუკიდებლად, თუნდაც საქმის წარმოების პროცედურაც კი უზრუნველყოფს მინიმალური სტანდარტით ბრალდებულის მზაობას მიმდინარე პროცესებთან და შედეგებთან დაკავშირებით, ბრალდებულის მხოლოდ სიტყვიერი მითითება, რომ ის არ იყო სათანადოდ ინფორმირებული ვერ დაადასტურებს ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურეობის გაწევის ფაქტს.

საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავის მხრივ ეფუძნება საქმეში არსებული მასალების ერთობლიობას, როგორიცაა, ჩადენილი დანაშაულის არაერთგზისობა, საქმეში 26 დაზარალებულის ჩვენება, წერილობითი მტკიცებულებები და თავად ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით მიჩნეულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად (სასამართლო გადაწყვეტილება საქმე №----. პარაგრაფი 4.).

შესაბამისად, განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ სტრატეგია, რომლითაც ადვოკატი ა. ბ. მოქმედებდა, შეთანხმებული იყო თავად ბრალდებულთან და ი. ს.-ს გააზრებული უნდა ჰქონოდა საქმის შესაძლო შედეგები.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა. ბ.-ს არ დაურღვევია კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება:

> ადვოკატმა კვალიფიციურად ... უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

6.2 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტისათვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა, პირველყოვლისა მოითხოვს ადვოკატის მიერ მომსახურეობის გაწევას სპეციალიზაციის სფეროს ფარგლებში, რის შემდგომაც ეთიკის კომისია ამოწმებს, კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის არსებობისა და ადვოკატის მიერ, დასახული სტრატეგიით საქმის წარმოებისას, შედეგებთან დაკავშირებით კლიენტის სათანადო ინფორმირების საკითხებს. აქვე მნიშნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ადვოკატის მიერ, კლიენტისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიას, ადვოკატის პროფესიის ბუნების დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნია უფლებამოსილება შეამოწმოს ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი, კონტროლი გაუწიოს ადვოკატის ამა თუ იმ ქმედებას და ადვოკატს განუსაზღვროს, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში, რა მოქმედება იქნებოდა საუკეთესო საქმის წარმოებისთვის.

6.3 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით ეთიკის კომისიის სამუშაო შეხვედრით ოქმი N04/19 შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლები და დადგინდა, რომ „მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები: ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში; ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში; ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის; ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.“

6.4 „ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას.“ (ეთიკის კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №013/20)

6.5 ადვოკატი ა. ბ. წარმოადგენდა ი. ს.-ს ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე №---- (პარ. 4.1.1). განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ს.-მ მტკიცებულებები უდავოდ სცნო ა. ბ.-ს მიერ დაცვის ქვეშ ყოფნის პერიოდში (პარ. 4.2.1). ი. ს.-ს სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, თუმცა საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი (პარ. 4.2.2, 4.2.3). მიუხედავად ამისა, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ თავად მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის ფაქტი და ამით გამოწვეული შედეგები, კვალიფიციური მომსახურების გაწევის კონტექსტში, კოლეგიის შესაფასებელი არ არის. დაცვის მხარის მიერ განხორციელებული აღნიშნული ქმედება თავის მხრივ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებიდან და ის უცილოდ განიხილება, როგორც საქმის წარმართვის სტრატეგიის ნაწილი. სწორედ ამიტომ, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა არა იმ

ფაქტზე, თუ რამდენად მომგებიანი იყო აღნიშნული ქმედება კლიენტის ინტერესებისთვის, არამედ იმაზე, თუ რამდენად იყო ის შეთანხმებული თავად ი. ს.-სთან და იყო თუ არა ბრალდებული ინფორმირებული შედეგების თაობაზე.

6.6 განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ, სტრატეგია, რომლითაც ადვოკატი ა. ბ. მოქმედებდა, შეთანხმებული იყო თავად ბრალდებულთან და ი. ს.-ს გააზრებული ჰქონდა საქმის შესაძლო შედეგები (პარ. 4.2.2). შესაბამისად, არ დგინდება ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევის ფაქტი.

6.7 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა. ბ.-ს არ დაურღვევია შემდეგი ნორმა:

> ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით...(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2)

6.8 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, დაადგინა: „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

6.9 მომჩივანის პოზიციიდან ირკვევა, რომ მას სურდა საქმეში არსებული დაზარალებულები მოწმის სახით გამოკითხულიყვნენ და მათი გამოკითხვის შესახებ ადვოკატს სასამართლოს წინაშე ეშუამდგომლა, თუმცა როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, ადვოკატმა სხდომაზე უარი განაცხადა მოწმეთა გამოკითხვაზე. განხილვის კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ადვოკატი ა. ბ. საქმეში ჩაერთო, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, იმ დროს როდესაც მხარეებს ერთმანეთისთვის უკვე გადაცემული ჰქონდათ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები და მოწმეთა სია. აღნიშნული ფაქტი გამორიცხავდა ა. ბ.-ს მიერ განხილვის სხდომის დროს, იმ მოწმეთა დაკითხვას, რომლებიც არ იყვნენ შეყვანილი მოწმეთა სიაში (პარ. 4.1.4). საჩივრის ავტორს თავის მხრივ არ წარმოუდგენია იმგვარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა, ადვოკატის მხრიდან ობიექტურ შესაძლებლობას, გამოეკითხა დაზარალებულები მოწმეთა სახით, მაშინ როდესაც აღნიშნული პროცედურის პროცესუალური ვადა უკვე გასული იყო (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

6.10 შედეგად დასტურდება, რომ ადვოკატმა, ა. ბ.-მ შეასრულა კლიენტის კანონიერი მითითებები და არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

6.11 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინარულ საქმეზე №028/20 ადვოკატ ა. ბ.-ს /სიითი N/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/